№ 111 30 მაისი, ოთხშაბათი 1866—1879 30 მაისი, ოთხშაბათი № 111

დროება

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газ. „Дрозда".

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მ. ნ., სამისთვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ᲧᲝᲚᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდი ასოებით ახოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცალცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდებიან.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(„ხალხთა-შორის Ტელეგრაფის საagენტოსი")

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲘ, 26 მაისს. „მმართებლობის მოამბეში" დაბეჭდილია უზენაესი სასამართლოს განჩინება ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲡᲝᲚᲝᲕᲘᲔᲕᲘᲡ საქმეზედ, რომელმანც ხელმწიფის მოკვლა განიზრახა. ᲔᲡ საქმე ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲛᲐ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ 25 მაისს განიხილა და ბრალდებული ᲡᲝᲚᲝᲕᲘᲝᲕᲘ იცნო დამნაშავედ იმაში, რომ ის ეკუთვნოდა აღკრძალულ საზოგადოებას, რომელსაც განზრახვა ჰქონდა, რომ ძალდატანებით დაემხო ახლანდელი რუსეთის სახელმწიფო და საზოგადო წყობილობა და ამ აზრით 1879 წელს 2 აპრილს, დილის 10 საათზე წინა-განზრახულობით რამდენჯერმე ესროლა რევოლვერი ხელმწიფე ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲡ,—ამის გამო ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ დაადგინა: ბრალდებულს გადამდგარ კოლლეჟსკი სეკრეტარს ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲡᲝᲚᲝᲕᲘᲔᲕᲡ, დასჯის წესდების მე-241, 242, 17 და 18 მუხლების ძალით, ჩამოერთვას ყოველი ღირსება და დასჯილი იქმნეს ხიკვდილით, ჩამოღრჩობით.

ᲚᲘᲕᲐᲓᲘᲐ, 25 მაისს. ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა დღეს წავიდნენ აქედამ ᲪᲐᲠᲡᲙᲝᲔ ᲡᲔᲚᲝᲨᲘ.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲘ, 28 მაისს. „მმართებლობის მოამბეში" სწერენ, რომ სახელმწიფო დამნაშავე ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲡᲝᲚᲝᲕᲘᲔᲕᲘ დღეს, 28 მაისს, დილის 10 საათზე, უნდა ჩამოაღრჩონ პეტერბურღში სმოლენსკის მინდორზედაო.

სახელმწიფო ბანკი აცხადებს, რომ პეტერბურღში, მოსკოვში და რუსეთის სხვა ქალაქებში მესამე ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ სესხის 744,305,700 მანეთზე მოაწერეს ხელი.

ᲩᲘᲥᲘᲨᲚᲘᲐᲠᲘ, 26 მაისს („თფ. მოამბის" დეპეშა). ტეკინის ექსპედიციის ჯარები თან-და-თან მოდიან აქ. დასავლეთის ქარი აბრკოლებს მხოლოთ ჯარის გამოსვლას ზღვის ნაპირზე. ძალიან არ ცხელა. ავათმყოფობა არ არის. ᲯᲔᲠ არ არის გარდაწყვეტილი—როდის დაინძრევა აქედამ ჯარი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲨᲔᲛᲐᲕᲘᲬᲠᲝᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲥᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ გაზეთებში (სხვათა შორის ჩვენსაშიაც) დაბეჭდილი იყო უფ. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ უფროსის პოლიციმეისტრის განკარგულება, რომლის ძალითაც ᲫᲐᲚᲐᲥᲨᲘ სამუდამოთ და დროებით მცხოვრებ უბილეთო ხალხს ეცხადებოდა, რომ ვისაც პოლიცია ნახავს უბილეთოდ, დაუყოვნებლივ სტაცებს ხელს და ეტაპით (ქანდარმებით) გაგზავნის თავის სამშობლო ქვეყანაშიო, თავდებობით გაშვება არავის არ შეიძლებაო, პასპორტი მოეთხოვება როგორც კაცებს, აგრეთვე ქალებს, როგორც პატარებს, ისე დიდებსო, როგორც გლეხს და ეკლესიას, ისე აზნაურსო და სხვ. და სხვ.

ᲐᲛ განკარგულების სიმკაცრე ყველაზე უწინ, რასაკვირველია, მუშებმა და მოსამსახურეებმა იგრძნეს: იმათ ჰკიდებს ხელს პოლიცია, რამდენიმე დღე ატუსაღებს და შემდეგ ზოგს ორი-სამი დღით უშვებენ პასპორტის ასაღებად და ზოგს კი თავიანთ სოფლებში გზავნიან. მო-

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲡᲐᲒᲛᲝᲒᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲔᲑᲔᲚᲘ *)

(დასასრული)

ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, შეუნდე ჩვენი საზოგადოების გულმოსულობის წინამძღოლ სარდალსა, რომ ამ თავის გამარჯვებითა შეარცხვინა მთელი კეთილ-შობილების საზოგადოება, რომელიც მიენდო თავის გულმოსულობის გამო მის რატა-რატობასა.

ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, შეუნდე მას ეს მძიმე შეცდომილება, რადგან არ იცოდა, რასაც ჩადიოდა.

ᲐᲠ იცოდა, რომ ზედამხედველის კომიტეტის დასასჯელათა იმ საქმისათვის, რომლის გამოც მისი აზრით მითომ უნდა დალუპულ იყო მთელი ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲦᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ თავად-აზნაურობა, იმ საცოდავ ორასი მანეთის გულისთვის, არ იცოდა, რომ სრულიად საჭირო არ იყო ისე იმნაირად ისე სითამამით ბანკის წესდების საძირკველი მუხლის შეცვლა;

*) „Droeba", № 110.

ᲐᲠ იცოდა, რომ იმ მუხლის შეცვლა ვერ მოუსპობდა ზედამხედველ კომიტეტსა, თუ ის ჩვენი ქვეყნისთვის საჭიროდ დაინახავდა, რომ კიდევ ოდესმე ხელი გაემართა ვინმე ნიჭიერ და ბეჯით გლეხი კაცის შვილისთვის ასიოდ, ან ორასიოდ მანეთით სწავლის საქმეშიდა;

ᲐᲠ იცოდა, რომ ბანკის საძირკვლიდგან იმისთანა მთავარი ქვების გამოღებით, როგორებიც იმან განიზრახა, თუ მთელი ბანკის შენობა არ დაირღვეოდა, ამ შენობის ერთი მთავარი კედელი მაინც ჩაიქცეოდა.

ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, შეუნდე ამ სარდალსა, რომ თავის წინდაუზედველობით ეს ჩვენი კეთილ-შობილი საზოგადოება გამოიყენა საქვეყნოდ იმისთანა საზოგადოებად, რომელიც მითომ სწუხს და ეგლახობს, რომ მთელი საზოგადოების ჯიბიდგან დახარჯულა ორასიოდე მანეთი გაჭირებული უმარწვილი მოსწავლე კაცის შესაწევნათ, თუ გინდ რომ ის უმარწვილი კაცი გლეხი კაცის შვილიც ყოფილიყოს.

—

ᲐᲠᲐ, ბატონო ᲓᲐᲠᲐᲮᲕᲔᲚᲘᲫᲔ, არა! ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ნუ ინებოს, რომ ჩვენი თავადნი და აზნაურნი ისე დაეცნენ, რომ აღარაფერი არ დარჩენოდეთ ამათ იმ მაღალ ზნეობით გრძნობათაგანი, რომელთაც დაუმკვიდრეს ამ თავად და აზნაურებსა წოდება „კეთილშობილობისა".

ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ნუ ინებოს, რომ ჩვენი კეთილ-შობილი საზოგადოება, რაც უნდა დასაწყლდეს, ისე დამდაბლდეს, რომ ენანებოდეს ორასიოდე მანეთი თავის მამულის-შვილის, თავის გლეხ-კაცის შვილის შესაწევნათა...

ᲔᲡ კეთილ-შობილი საზოგადოება მით გახდა კეთილ-შობილი, რომ იყო მუდამ თავ-შეწირული თავის სამშობლო ქვეყნის ბედნიერებისთვის და ეს გრძნობა დღესაც ამშვენებს ამ საზოგადოებასა და ეს სისხლი დღესაცა დუღს მის ძარღვებშიდა; და როდესაც კი ეს კეთილ-შობილური, მაღალი, ღვთიური გრძნობა გაქრება ჩვენ თავად-აზნაურობაში,—მაშინ ეს იმის ნიშანი იქმნება, რომ ბოლო მოღებია ჩვენ კეთილ-შობილ შთამომავლობასა..

ᲐᲠᲐ, არა! ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲓᲐᲠᲐᲮᲕᲔᲚᲘᲫᲔ! ჩვენი თავად-აზნაურობა სრულიად იმნაირი დაცემულ არ არის, რანაირათაც თქვენ წარმოადგინეთ ის თქვენ ეკატერინეთა, თქვენის წინამძღოლ

მეტებული ნაწილი კი თვითონ მირბის თავის ქვეყანაში პასპორტის ასაღებად, რადგან პოლიციის ხელში ჩავარდნა არავის არ ესიამოვნება.

ჩვენ დაგვარწმუნეს, რომ დღე არ გავილის ისეთ, რომ უკანასკნელი ორასი კაცი (მოსამსახურე და მუშები) არ მირბოდნენ ქალაქიდამ მარტო რკინის გზითო. მოსამსახურე ქალ-კაცები მაინც ერთობ დაფთხობილი არიან: ამათში გავრცელებულია ხმა, ქალ-კაცებს სალდათებთან და კინტუა ბიჭებთან ერთად ამწყვდევენო და ამის გამო შინ წასვლას ეშურებიან. ზოგს ძიძა გაექცა, ზოგს მზარეული, ზოგს ხელზე მოსამსახურე ბიჭი, ზოგს შიშით ვერსად გაუგზავნია ბიჭი, ვაი თუ სტაცონ ხელი და სულ უმოსამსახურონთ დავრჩეთ და სხვ.

ამ ნაირს მდგომარეობაშია ამ ჟამად ქალაქის ხალხი.

რასაკვირველია, რომ უფ. უფროსი პოლიციმეისტერი კანონიერად მოქმედებს. კანონი მოითხოვს იმისაგან, რომ ქალაქში უბილეთოდ არავინ იყოს და ისიც ცდილობს ეს კანონი შეასრულოს.

მაგრამ ესეც უნდა ითქვას, რომ იმას „ადგილობრივი გარემოებანი“ უნდა მიეღო მხედველობაში. ღღემდინ ათასში ერთს ნახავდით ჩვენში პასპორტიან და ბილეთიან მუშასა, მოსამსახურეს ანუ სხვას ვისმე; უბილეთოთაც იოლად გამოდიოდნენ.

თუ ვისმე ჰქონდა ბილეთი, ისიც უბრალო ბილეთი, მამასახლისისაგან მიღებული. ახლა კი მამასახლისის ბილეთს არ ღებულობენ, უეზდის უპრავლენიიდამ უნდა იყოსო კანონიერი, მარკა-დაკრული ბილეთიო.

ჩვენ გვაკვირვებს—რომელმა განსაკუთრებულმა გარემოებამ ანუ შემთხვევამ გამოიწვია ჩვენში ახლა ამ სასტიკი კანონის შესრულება. ჭურდობა, ავაზაკობა, კაცის-კვლა და სხვა ამ გვარები ახლა უფრო ნაკლებად ისმის ჩვენში, ვინემ ოდესმე სხვა დროს. პოლიტიკური და სხვა ამგვარი დამნაშავეები ჩვენში სანთლით ვერ მოიძებნება...

მაშ რა იყო ამ კანონის ახლა გახსენების მიზეზი?

ჩვენი საქმე არ არის ამ მიზეზის გამოკვლევა. ჩვენ მხოლოთ ამ შენიშნვაში იმის თქმა გვსურს, რომ ესე უეცრივი მოთხოვნა პასპორტებისა ერთობ შემავიწროებელია მთელი თფილისისათვის, და ამის გამო უფ. პოლიციმეისტერი ძალიან კარგს იქმოდა, რომ ორი ან ერთი თვე მაინც ვადა დაენიშნა ყველა უბილეთოებისათვის. ამ ვადის განმავლობაში ყველა ეცდებოდა კანონიერი ბილეთი აეღო, საიდამაც რიგი იყო, და მაშინ ქალაქის მცხოვრებნი აღარ იქნებოდნენ ასე შეიწროებულნი, როგორც ახლა არიან და როგორც შემდეგში უფრო მომეტებულად მოელისთ, თუ უფ. პოლიციმეისტერმა ან დროებით ბილეთები მაინც არ დაურიგა ხალხს და ან დროებით არ შეაჩერა ამ ფიცხლად გამოცემულის განკარგულების სისრულეში მოყვანა.

სასურველია, რომ უფ. პოლიციმეისტერმა ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება და არ მოგვაგონოს ის—ცუდი დრო, როდესაც ქალაქის ზარგეებისაგან დაყენებული კაცები ცემა-ტყეპით მიათრევდნენ ყველას, ვისაც ბილეთი არა ჰქონდა და ვინც მანეთს ვერ იხდიდა..

ს. მ.

ᲓᲚᲘᲣᲠᲘ

*** ᲒᲐᲡᲣᲚ ᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 26 მაისს, ქალაქის რჩევაში, სხვათა შორის, კიდევ ქალაქის საზოგადო ბანკის თაობაზედ იყო ლაპარაკი; გადაწყდა, რომ ამ ბანკის წმინდა მოგებიდამ 80% დაინიშნოს „ქალაქის სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის მოსახმარებელად“ და დანარჩენი 20% კი გადიდეას მუდამ წელს ვინიცობაა ზარალი მოუვიდეს ბანკს ანუ სხვა რამ მოულოდნელი საჭიროება აღმოუჩნდეს, იმ შემთხვევისათვის.

თავნი ფული ბანკის დასაარსებელად 70,000 მან.—ქალაქმა უნდა ისესხოს ხაზინიდამ, რომელიც ამ ფულს ამოიგებს რკინის გზის მმართველობისაგან, რადგან ამ მმართველობას 72,000 მანეთი მართებს ქალაქისა.

რჩევამ ერთხმად მიიღო წინადადება უფ. ხმოვანის მ. პ. ბებუთოვისა, ვიშუამდგომლოთო, რომ თფ. რეალურ სასწავლებელში კურს-შესრულებულ ყმაწვილ-კაცებს უფლება მიეცესთ უეგზამენოთ მიიღონ რუსეთის უმაღლესს სპეციალურს სასწავლებლებში.

ბითა და თქვენის გამარჯვებითა წრეანდელი ჩვენი ბანკის კრებაშიდა...

—

როდესაც ციგმა ნიავმა გადუქროლა გულ-მოსულობით გახურებულ შუბლზედა ჩვენ ქუთაისის თავად-აზნაურობის საზოგადოებასა, მაშინ ამ საზოგადოებამ კარგად დაინახა რაც დასანახი ჰქონდა.

დაინახა, რომ დარახველიძის წინამძღომელობამ და ადვოკატობამ ჩაადენინა მას სასირცხო საქმე, როგორც ყოველივე საქმე ნაწარმოები გულ-მოსულობითა.

იგრძნო ეს სირცხვილი და შესწუხდა; იგრძნო გაღვიძება კეთილ-შობილებისა, რომლითაც მალე გამოისყიდა თავისი გულ-მოსულობითი შეცდომილება.

და არ ვიცი როგორ ვაქო მე ეს საზოგადოება ამ დიაღ საქები მოქმედებისათვის.

ეს დიდი ნუგეშია და დიდი იმედია, რომ ჩვენი თავად-აზნაურობის საზოგადოება იქმნება დამავალი კეთილ-გონიერ გზაზედა, თუ კი ღმერთმა აუცილა მასს ბოროტ გზის მაჩვენებლები, თითონვე საზრუნველი მზრუნველები, და ერთობ ხმა-მაღლა მყვირალა სარდლები.

ჩვენმა თავად-აზნაურობამ ბანკის კრებაშივე გამოისყიდა ეს თავის შეცდომილება ამ ოთხი რამითა:

—პირველი იყო ისა, რომ აღუდგინა ძეგლი მადლობისა მიცვალებულ ბესარიონ ლოლაბერიძესა, რომელმაც შეადგინა ამ ჩვენი ბანკისთვის იმისთანა წესდება, რომ ამ წესდების ძალითა გაეღო ყველა წოდების პირსა, ყველა ჩვენი მამულის შვილსა კარები ჩვენი თავად-აზნაურობის საზოგადოებაში შემოსასვლელად, რათა ვიზრუნოთ აქ ყველამ ერთად თავადმა, აზნაურმა, ეკლარმა და გლეხმა საერთო, საზოგადო საქმეზედა.—ამ სასარგებლო საქმისთვის ესე იგი: ჩვენი ქვეყნის ყველა ხარისხის და წოდების პირთა ერთმანერთან დაახლოებისათვის—კეთილშობილ თავად-აზნაურობამ მადლობის გამოსაცხადებელად თითქმის ერთის ხმითა უძღვნა სამძიმარი ბესარიონ ლოლაბერიძის მოხუცებულ მამასა, და დაუწესა ბესარიონის სახელზედ სტიპენდია.—

—მეორე იყო ისა,—რომ ზედამხედველ კომიტეტის მწევრებათა აღმოარჩია თავად-აზნაურობამ ზოგიერთი ყმარწვილი კაცები, რომელნიც იყვნენ წინაადმდეგნი დარახველიძის თავად-აზნაურული რატარატობისა და თანამგრძნობელი დავით მიქელაძის კეთილშობილურ გრძნობისა.

—მესამე იყო ისა, რომ ალექსანდრე შიფინაშვილი, რომელიც არის ერთი უბრალო გლეხი კაცის შვილი, და ყველასაგან ნაცნობი თავის მეცადინეობით და პატიოსნებითა, თავად-აზნაურობამ თითქმის ერთის ხმითა ამოარჩია ზედამხედველი კომიტეტის მწევრათა და ამ ამორჩევით თითქოს კიდეც დაასახელა ეს გლეხი კაცის შვილი მთელი ქუთაისის ლუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების თავმჯდომარეთა *).

—და სულ ბოლოს მეოთხე ის იყო, რომ მთელი საზოგადოება დაუთანხმდა ერთის ხმითა და დიდის სიხარულითა ქირილე ლორთქიფანიძესა, რომელიც იყო მიხეილ დარახველიძის მოპირდაპირე გლეხ კაცების ბანკის საზოგადოებიდგან გასარეკად გალაშკრებაში. ქირ. ლორთქიფანიძემ ურჩია საზოგადოებას, რომ წინანდელი შეცდომილებითი მისი გარდაწყვეტილობა შესახებ ბანკის წესდების უმზგავსო შეცვლაზედა, სისრულეში ნუ იქნება მოყვანილიო და ეს საქმე გადიდოსო მომავალ წლისთვისაო, როკარგად საფუძვლიანად გამოვიმკვლიოთ ყოველივე გარემოება, და შემდგომ საფუძვლიან მოაზრებითა და სიფრთხილითა შევეხოთ ბანკის წესდების შეცვლასაო, რომელიც არის მეტად მძიმე და საფრთხილო საქმეო.

დიდის გულ-წრფელობით აღვიარა თავად-აზნაურობამ თავისი შეცდომილება და დიდის სიხარულით დაუთანხმდა პატივცემულ ქ. ლორთქიფანიძის რჩევასა.

—

*) ზედამხედველ კომიტეტის მწევრებმა კიდეც აღმოარჩიეს ერთმანერთში ალექსანდრე შიფინაშვილი თავმჯდომარეთა, ლუკა ასათიანის მაგიერად.—

შტატების შესახებ რჩევამ გადაწყვიტა, რომ ქალაქის ბამგეობაში იყვეს სამი წევრი, თითოს ჯამაგირად მიეცეს წელიწადში 3,000 მანეთი, და მეოთხე ნაქირავები წევრი ტეხნიკი. სულ ქალაქის გამგეობისათვის წელიწადში უნდა დაიხარჯოს 70 ათას მანეთზე ცოტა მომეტებული.

*** ამ ორშაბათის სხდომაზედ ქალაქის რჩევამ განაგრძო განხილვა თფილისის ქალაქის ბამგეობის შტატებისა. ქალაქის თავს დაენიშნა წელიწადში ჯამაგირად—7,000 მან., სამს წევრს გამგეობისას—თითოს 3,000 მან., ქალაქის ტეხნიკს—2,500 მან., დამფასებელ კომისიისათვის—2,100, ბამგეობის განათების, გათბობის და სხვ.—2,100, საზოგადო მუშაობის სამს ზედამხედველს—თითოს 300 მან., მწერლებისათვის — 3,400 მან., ეაჭრობის დეპუტაციისათვის—600, ტიპოგრაფიის ხარჯი (შემოსავალ-გასავლის ანგარიშის ბეჭდვა, მოხსენებების, პროექტების, სხვა და სხვა ბლანკებისა და სხვ.)—1,500 მან., ობლების სასამართლოს—2,016 მან. და ბამგეობის ბიბლიოთეკისათვის—200 მან., ბაზრის პოლიციის გამართვისათვის ქალაქის თავის განკარგულებაში 8,000 მან. და სხვ.

როდესაც ტიპოგრაფიის ხარჯზე იყო ლაპარაკი, წარმოითქვა აზრი, რომ კარგი იქნებოო თფილისის ქალაქის რჩევამ თავის საკუთარი პერიოდული გამოცემა გამოსცესო, სადაც დაიბეჭდოს როგორც პროტოკოლები რჩევის სხდომებისა, აგრეთვე ყველა წინადადებანი, პროექტები და სხვ. ამ გვარებიო. ამ საგანზე მოლაპარაკება შემდეგ სხდომისათვის გადაიდეა.

აჰნაირად სულ თავის თვითმმართველობა წელს უჯდება ქალაქს—70,897 მანეთად (შარშანდელზე სამი ათასის მანეთით ნაკლებ).

*** შუა ქალაქში და სოლოლაკშიაც გაჩნდა კალია. ზოგიერთ ქუჩებზე იმდენი ჩამოფრინდა, რომ კაცი ისე ვერ გაივლის, რამდენიმე მაინც არ გაჭყლეტოს ფეხით. მაგრამ ყველაზე მომეტებული ავლაბრისა და ნავთლუღისაკენ არის თურმე, სადაც კვერცხებსაც სდებენო. ორთაჭალის ბაღებში ჯერ თითქმის სულ არ მოიბოება, ქალაქში და ავლაბრისაკენ კი საცა ბაღი და მცენარეული რამ შეხვდათ, ხელის-გულივით ამოატიტვლა თურმე.

ამით გათავდა ჩვენი ბანკის წრეევანდელი კრება.

ბევრი საგმობელი და საქებელი რამ ენახეთ და მოვისმინეთ ჩვენ ამ კრებაში; ამ ბევრისაგან ცოტა მოვიხსენე და თუ დრო ნებას მომცემს, დანარჩენსაც მოგახსენებთ შემდგომში.

საზოგადოება დათანხმდა თითქმის ყველა წინადადებაზედ, რაც კი რიგიანათ აუხსნეს მას და გააგონეს.

და თუ შეცდომილება მოუვიდა, ეს არ უნდა გვიკვირდეს და სასოწარკვეთილებაში არ უნდა გვაგდებდეს:—ჯერ ეს ჩვენი საზოგადოება შეუჩვეველია და შეუსწავლელია.—ღვთის მოწყალებით, ჩვენი მამულის შვილნი ნიჭიერნი არიან, და როდესაც დაინახვენ კარგ მაგალითებსა, კარგად წამოზდილ კაცებსა, მალე შეეჩვევიან უფრო რიგიან წესიერებასა, და მალეც მიხვდებიან, რომ საზოგადო საქმეების გარდაწყვეტილობა გულმოსულობაზე კი არ უნდა იყოს ხოლმე, უხეიროდ შეყენებული არამედ უნდა იყოს მტკიცედ დამკვიდრებული გულდამშვიდებულ მსჯელობაზედ და ჩვენი მამულის საყოველთაო ბედნიერებაზედა...

24 მაისს 1879 წ.. ქუთაისი.

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

მაისის პირველი რიცხვებიდამ (ახალი სტილით) რუსის ჯარებმა, რომელნიც იყვნენ აღმოსავლეთ რუმელიაში დაბარგებული, ბერლინის ტრაქტატის ძალით, იწყეს ცოტ-ცოტათ რუსეთში დაბრუნება. ერთი წყობა კიდეც მოვიდა გემებით ოდესაში. იმავე ტრაქტატის ძალით, ამ აღმოსავლეთ რუმელიის მმართველად ოსმალოს მართებლობამ ევროპიულ კაბინეტების თანხმობით, გამოგზავნა ალეკო-ფაშა, ანუ როგორც ეხლა უწოდებენ იმას თ. მოგორიდესი. ეს მოვიდა ფილიპოპოლს, რუმელიის უმთავრესს ქალაქში 27 მაისს. რუსის ენერალმა სტოლიპინმა შეაგება მას მისი ჩინოვნიკი, ხალხმაც მხიარულებით მიიღო თავის ახალი მმართველი.

განცხადებანი

თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან

თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ბამგეობა, უმაღლესად დამტკიცებულის ბანკის წესდების § 16-ის ძალით, აცხადებს, რომ ამ 1879 წლის 30 ივნისს (თიბათვეს) შუადღეზედ, ქალაქს თფილისში ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზე, ნ. ფორლანოვის სახლში № 3, დანიშნულია გასყიდვა (ხელმეორედ ეაჭრობა აღარ დაინიშნება) იმ პირთ უძრავ ქონებისა, რომელთაც ბანკიდამ ვალი აიღეს და, ბანკის წესდების §§ 29, 30, 34 და 36 ძალით, დანიშნულ ვადაზე ვერ შემოიტანეს ხვედრი გადასახადი:

ტერ-მიკირტიჩიანცის, ქრისტეფორე ნიკიტის ძისა—სამ-ეტაჟიანი ხის სახლი სხვა-და-სხვა შენობებით და მიწით 634¼, ოთხ-კუთხი საჟენი. ქ. თფილისში მე-11 განყოფილების მეთორმეტე უბასტკაში, ჩუღურეთში, რომელი მამულიც ანდერძით ქრისაგან სოფიო მიხეილის ასულის ტერ-მიკირტიჩიანცის სამუდამო მფლობელობაში გადავიდა. თავნი ვალი აძევს ამ მამულს 76,531 მანეთი და 22 კაპ., გადასახდელი აქვს კიდევ 3,928 მან. და 50 კაპ., სულ 80,459 მანეთი და 72 კაპ.

პანამაროვისა, ელისაბედ ბროგორის ასულის—სამ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, თავის შენობებით და მიწით 104 ოთხ-კუთხი საჟენი. თფილისში, 1 განყოფილების მეექვსე უბასტკაში. თავნი ვალი 3,770 მან. და 12 კაპ., გადასახდელი 203 მან., სულ 3,933 მან. 12 კაპ.

სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასულის—ა) ერთ-ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი, ბ) ორი სამ-ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი, ორი ორ-ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი და გ) თერთმეტი თითო-ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი, თან ადგილით 276 ოთხ-კუთხი საჟენი და 7 არშინი თფილისში, ა) 1 განყოფ. მეშვიდე უბასტკაში და 2) მე-11 განყოფ. მეოთხმეტე უბასტ. ჩუღურეთში. თავნი ვალი 16, 965 მ. 57 კაპ., გადასახდელი კიდეე 1,062 მან. და 75 კაპ., სულ 18,028 მან. 39 კაპ.

ფავლიევის, იაკობ სვინონის ძის—ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, შენობებით და მიწით 72 ოთხ-კუთ. საჟენი. თფილისში 1 განყ. მეხუთე უბასტ., ნემეცესის ქუჩაზე. თავნი ვალი 5,702 მან. 92 კაპ., გადასახდელი—317 მან. 92 კ. სულ 6,074 მან. 84 კაპ.

ამატუნისა, ანნა ნაზარის ასულის—ორ-ეტაჟიანი ქვით-კირის სახლი, შენობებით და მიწით 578 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისში, ველიაშვილის ქუჩაზე, 1 განყოფ. მეოთხე უბასტკაში. თავნი ვალი 52,305 მან. 64 კაპ., გადასახდელი 2,592 მან. 80 კაპ., სულ 54,898 მან. 44 კაპ.

ერისთავის, თ. ბიორგი ბიორგის ძის—სახნავ-სათესი და საბალახე მიწები 243 დესიატინა და 1,263 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის გუბერნიის თელავის უეზდში, სოფ. ქისტაურში. თავნი ვალი—7,916 მან. 33 კაპ., გადასახდელი 356 მან. 20 კაპ., სულ 8.272 მან. 53 კაპ.

ერისთავის, თ. ბიორგი ბიორგის ძის—სახნავ-სათესი, საბალახე და საოიბი ადგილები და ტყე, ზომით 800 დესიატინა. თფ. გუბ. და თფილისისვე უეზდში სოფ. ბოჩარმაში. თავნი ვალი 4,754 მან. 15 კაპ., გადასახდელი 214 მან. 16 კაპ., სულ 4,968 კაპ. 31 კაპ.

ავალიშვილის, თ. ივანე ზაალის ძის—სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები 151 დესიატინა და 300 ოთხ-კუთხი საჟენი. თფილისის გუბერნიის ბორის უეზდში, სოფ. ბრეთს. თავნი ვალი, 8,930 მან. 45 კაპ., გადასახდელი 398 მან., 60 კაპ., სულ 9,329 მან. და 5 კაპ.

აბხაზის, თ. ირაკლი ალექსანდრეს ძის—ორი ნაჭერი მიწა სიერცით 177 დესიატინა და 7 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის გუბ. და უეზდში სოფ. თხინვალში. თავნი ვალი, 5,942 მან. 53 კაპ., გადასახდელი 524 კაპ. 82 კაპ., სულ 6,466 მან. 35 კაპ.

ორბელიანის, თ. ვახტანგ ვახტანგის ძის—სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები 1,434 დესიატინა და 1120 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის გუბ. თრიალეთის საპრისტაოში სოფ. მუსიყალაში ეერანი ადგილით შემიდილარით. თავნი ვალი 10,926 მან. 99 კაპ., გადასახდელი 468 მან. 81 კაპ., სულ 11,395 მან. 80 კ.

ორბელიანის, თ. ვახტანგ ვახტანგის ძის—სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები 1977 დესიატინა და 1280 ოთხ-კუთხი საჟენი, თფილისის უეზდში სოფ. ძველ-ლუმანისში, ჩლიხჩურში და ციხის-საყდარში. თავნი ვალი 13,865 მან. 90 კაპ., გადასახდელი 592 მან. 8 კაპ., სულ 14,457 მან. 98 კაპ.

ჩოლაყაშვილის ნიკოლოზ თადეოზის ძის—სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები 5,724 დესიატინა და 145 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის უეზდში, სოფ. ულარბალახში, ფალდოს, სამგორს და უჯარმაში. თავნი ვალი 59,601 მან. 75 კაპ. გადასახდელი 2,507 მან. 51 კაპ., სულ 62,109 მან. 26 კაპ.

თარხან-მოურავისა, კნეინა მარიამ ბიძინას ასული—სახნავ-სათესი და საბალეხე მიწები 545 დესიატინა და 1645 ოთხ-კუთხი საჟენი, თფილისის გუბ. ბორის უეზდში, სოფ. ცხოველში. თავნი ვალი—6,655 მან. 51 კაპ., გადასახდელი—292 მან. 23 კაპ., სულ 6,947 მან. 74 კაპ.

სტეფანოვის, ბეურქ პაველეს ძის—ცარიელი მიწა 300 ოთხ-კუთხი საჟენი მე-11 განყ. მეთერთმეტე უჩასტკაში, ქ. თფილისში. თავნი ვალი—1,200 მ., გადასახდელი—92 მან. 20 კაპ., სულ 1,292 მან. 20 კაპ.

ყარაჯევის, ივანე სტეფანეს ძის—ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი მიწით $52\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. თფილისის 1 განყოფ. მეცხრე უჩასტკაში, ვარანცოვის ქუჩაზე თავნი ვალი—400 მან., გადასახდელი 41 მან. 62 კაპ., სულ 441 მან. 62 კაპ.

ჟურულის, ლურმიშხან შალვას ძის—ადგილი ხის სახლით, 213 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის გუბერნიის ქ. ბორში. თავნი ვალი 2,000 მან., გადასახდელი 261 მან. 26 კაპ., სულ 2261 მან. 26 კაპ.

მეხტიევის, სადიყ ოსკარ-ოღლის—ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ბაღი და მიწა 547 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისში, 1 განყოფ. მეცხრე უჩასტკაში, ბატანიკურ ბაღთან. თავნი ვალი 1200 მან., გადასახდელი 65 მან. 34 კაპ., სულ 1,265 მან, 34 კაპ.

მანუკიანცევის, ბაგრატ და ალექსი ბეურქის შვილებისა—ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ადგილი 143 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისში, მე-2 განყ. მეცამეტე უჩასტკაში, ბეზიმიანნის (ულაბელო) ქუჩაზე. თავნი ვალი—1000 მან., გადასახდელი 97 მან. 58 კაპ., სულ 1,097 მან. 58 კაპ.

ბასტამოვისა, ნინო იაგორის ასულის—ბაღის ადგილი 7 დესიატინა და 1440 ოთხ. კუთხი საჟ. თფილისის უეზდში, სოფ. ზემო-აეჭალას. თავნი ვალი—2,000 მან., გადასახდელი 27 მან, 32 კაპ., სულ 2,017 33 კაპ.

ზარიძის, ნიკოლოზ ბრიგორის ძის—ერთ-ეტაჟიანი სახლი და თან ადგილი 55 კაპ. თფილისში, მე-2 განყოფ. მეთორმეტე უჩასტკაში, ჩულურეთში. თავნი ვალი—500 მან., გადასახდელი 49 მან. 27 კაპ, სულ 549 მან. 27 კაპ.

შატბეროვისა, ლიუდმილა ათანასეს ასულის—ერთ-ეტაჟიანი სახლი, სახნავ-სათესი და საბალახე ადგილი $18\frac{1}{2}$ დესიატინა და 1000 ოთხ-კუთხი საჟენი. თფილისის გუბერნიის ბორის უეზდში, სოფ. ხაშურს. თავნი ვალი 800 მან., გადასახდელი 64 მან. 60 კაპ., სულ 864 მან. 60 კაპ. და

ზანდუკელის, ოტია ბორგის ძის—სახნავ-სათესი და სათიბი ადგილები 80 დესიატინა. თფილისის გუბ. თიონეთის უეზდში სოფ. ბაკიანთ-ქარში. თავნი ვალი—794 მან. 68 კაპ., გადასახდელი 49 მან. 86 კაპ., სულ 844 მან. 54 კაპ.

ვაჭრობა (ტორგი) ბანკის წესდების მე-19 მუხლის თანახმად, დაიწყება ზემო-მოყვანილის ვადის ჯამიდამ, მხოლოთ ამას მიემატება რაც მამულს კიდევ გადასახდელი ვალი აქვს ზემსკი და ხარჯი.

თავნი ვალი ბანკისა შეიძლება გადახდილი იქმნეს ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით იმათის ნომინალურის ფასით, მანეთი მანეთში მიიღება; შეიძლება აგრეთვე ბანკის ვალი მსყიდველზე გადაიცეს, ბანკის გამგეობის ნებართვით. რაც ვადაზე შემოსატანი ვალი აძევს მამულს ანუ სხვა გადასახადი, ის კი ნაღდი ფულებით უნდა გადაიხადონ.

თუ დანიშნულ დროს, ე. ი. 30 ივნისს ამ 1879 წლისა ზემო-მოხსენებული მამულები არ გაიყიდა, ამ შემთხვევაში ბანკის ბამგეობა, წესდების მე-22 მუხლის ძალით, დანიშნავს მეორე და უკანასკნელ ვაჭრობას (ტორგს) ამავე 1879 წლის 14 ივლისისათვის.

(3—2)

ქუთაისის ქალაქის გამგეობისაგან

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამცნობს, რომ ქალაქის რჩევის გარდაწყვეტილებით, მომავალ ივნისის 18-ს დანიშნულია, ქალაქის სასამართლოში, გამგეობის თანდასწრებით, ვაჭრობა, ქალაქის საკუთრების ხუთი ნაკვეთი ადგილისა: ორი იმათგანი—პირველ სიერცით 124 ოთხ-კუთხი საჟენი და მეორე—175 ოთხ-კ. საჟ. იმყოფების მიხაილოვის ხიდის მახლობლათ, მესამე—700 ოთხკ. საჟ. ქარლოვის ქუჩაზედ, მეოთხე სახელდობ „წყალთაშუა“—683 ოთხკ. საჟ. და მეხუთე ქახიანოურში (ქალაქის გარეთ) 1695 ოთხკ. საჟენი.

ვაჭრობა დაიწყება დილის 11-ს საათზე, ხოლო გათავდება ნაშუადღევის 2-ს საათზე. (3—1)

ბორის უეზდში სოფელს ქარელში მცხოვრებელი თ. იასონ დავითის ძე ციციანოვი აძლევს იჯარით ანუ ღირებულის ფასათ ბასუიდვით თავის ყოველს უძრავს მამულებს: სახლს, ბაღსა და ერთი მეოც-და-თექვსმეტედს საციციანოს მთასა მახლობლად რკინის გზის სტანციასთან.

მსურველთა შეუძლიანთ მიმართონ ამავე სოფელს ქარელში მამულის მეპატრონესთან.

(3—3)

„ წიგნის-ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების“ თავმჯდომარე მოიწვევს უფ. შემდგენელთ და ნამდვილთა წევრთა საზოგადოებისა სამართო ყრილობაში შემოსავალ-ბასავლის მოსაზრებულ ანგარიშის (სმეტა) ბაშინჯვისა და დამტკიცებისათვის.

ყრილობა იქნება 29 მაისს, სამშაბათს 8 საათზე, საღამოს თავადაზნაურობის ბანკის ზალაში.

(5—4)

ამ მაისის 15-დგან გაღებული იქნება ქვა-მარილის მაღაზია ქ. ბორში და ხაშურში. ბორში—ბიორგი რომანოვთან და ხაშურში—ცუკუნია არუწოვთან.

ბორში და ხაშურშიაც ქვა-მარილი ყოველთვის იმ ფასად გაისყიდება, რა ფასადაც თფილისშიისყიდება.

ბრიგოლ ბარმოვი და ბიორგი რომანოვი.

(15—10)

უფ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ქუთაისში—უფ. კ. მესხის მაღაზიაში ისყიდება

„ვაი ჭკუისაგან“

კომედია ოთხ მოქმედებად ბ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი ს ა. ნათარგმნი ბრ. ა. წინიმძღვაროვის-მიერ.

ფასი—ექვსი შაური

Дозволено цензурою: Тифлисъ 29 мая 1879 г. Типографія Меликова. ბამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.